Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

#20, ივლისი, 2022

ქართული რეპი და პოლიტიკური ღირებულებები

ნუციკო ძანძავა
გიორგი ხაჩიძე

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Email: nutsiko.dzandzava850@sps.tsu.edu.ge;
Email: giorgi.khachidze477@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

ბოლო დროს, სოციალური მეცნიერებების დარგში უფრო და უფრო მეტი ყურადღება ეთმობა პოპულარული კულტურისა და პოლიტიკის ურთიერთქმედების განზომილებას, რომელიც აქამდე მკვლევართა ინტერესის მიღმა იყო დარჩენილი. პოპულარული კულტურა, როგორც საზოგადოებაში გავრცელებული შეხედულებებისა და ღირებულებების სარკე, პოლიტიკური მეცნიერებისთვის შესწავლის მეტად გამოსადეგ ხელსაწყოს წარმოადგენს. ამ კუთხით, განსაკუთრებით საინტერესოა მუსიკის, უფრო კონკრეტულად კი რეპ მიმდინარეობის შესწავლა, რადგანაც ამ ჟანრის მუსიკა, ტრადიციულად, საზოგადოების მარგინალიზებული და ელიტარული დისკურსის მოწინააღმდეგე ჯგუფების თვით-გამოხატვის საშუალებას წარმოადგენდა. ბოლო პერიოდში, საქართველოში, რეპის ჟანრის მიმართ გაზრდილი პოპულარობის გათვალისწინებით, ამასთან, ქართულ აკადემიურ სივრცეში ამ კუთხით ჩატარებული კვლევების არარსებობის გამო, მიგვაჩნია, რომ ნაშრომი საკმაოდ აქტუალურ და ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილ საკითხებს ეხება.

ნაშრომში ვიყენებთ ნექსონისა და ნაუმანის პოპულარული კულტურისა და პოლიტიკის დამაკავშირებელ ზოგად თეორიას, რომლის მიხედვითაც, პოპულარული კულტურა საზოგადოებაში გავრცელებული ღირებულებების და განწყობების ინდიკატორი და ქვეყნის იდენტობის შესასწავლად ერთ-ერთი ყველაზე გამოსადეგი ხელსაწყოა. კვლევის მიზანია, გავაანალიზოთ, თუ როგორ აისახება ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური პრობლემები ქართულ პოპულარულ მუსიკის ჟანრში, რეპში და შევუსაბამოთ რეპ-შემსრულებლების მიერ გავრცელებული გზავნილები განსხვავებულ პოლიტიკურ ღირებულებათა სკოლებს. შესაბამისად, საკვლევი კითხვა შემდეგნაირად ფორმულირდება - როგორ აისახება განსხვავებული პოლიტიკური ღირებულებები ქართველი რეპ შემსრულებლების შემოქმედებაში? კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ პოპულარული ქართველი რეპერები სიმღერებში აუღერებენ როგორც მკვეთრად მემარცხენე, ისე მემარჯვენე და კონსერვატიული პოლიტიკური ღირებულებებისთვის დამახასიათებელ გზავნილებს.

საკვანძო სიტყვები: *„პოპულარული კულტურა“; „რეპი“; „პოლიტიკური ღირებულებები“; „საქართველო“*

შესავალი

პოლიტიკური მეცნიერებების სფეროში, დიდი ხნის განმავლობაში, პოპულარული კულტურისადმი მეტად კონსერვატიული მიდგომა იყო დამკვიდრებული; ამის გამო, ეს თემა ყურადღებას მოკლებული გახლდათ - თეორეტიკოსები ამ საკითხს პოლიტიკისგან განცალკევებულად ან უკეთეს შემთხვევაში, ნაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ. თუმცა, დროის გასვლასთან ერთად, ეს დამოკიდებულება შეიცვალა. გასული საუკუნის ბოლოდან, კრიტიკული სკოლისა და პოსტ-მოდერნიზმის თეორეტიკოსებმა პოპ-კულტურა - პოლიტიკის ურთიერთკავშირს მეტი მნიშვნელობა მიანიჭეს და უკვე თეორიულ ჭრილში დაიწყეს სახელმწიფოთაშორის თუ შიდასახელმწიფოებრივ პროცესებზე მისი გავლენების გაანალიზება (Weldes & Rowley, 2015). პოპ-კულტურა წარმოადგენს ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლს, პერსონალურ და პოლიტიკურ

სივრცეებს შორის. შესაბამისად, ის შესწავლის განსაკუთრებით საინტერესო საგანია იმ შეხედულებების და იდენტობების გასაანალიზებლად, რომლებიც ხშირად ტრადიციული პოლიტიკური დისკურსის გარეთ რჩებიან (Manhaimer, 2019).

ამ ყველაფრის ფონზე, მიგვაჩნია, რომ მუსიკასაც, განსაკუთრებით კი პოპულარული მუსიკის ჟანრებსაც შეუძლიათ თავიანთი როლი ითამაშონ პოლიტიკური მეცნიერებების თეორიაში - უფრო კონკრეტულად, გამოყენებული იქნენ თეორიული ანალიზისა და პოლიტიკური მოვლენების/პროცესების განსხვავებული პერსპექტივიდან შესწავლის ხელსაწყოდ. მუსიკის, როგორც პოპულარული კულტურის განუყოფელი ნაწილის მნიშვნელობას ადასტურებს ფაქტი, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების შექმნამდეც კი, მას ორგვარი ბუნება ახასიათებდა - მუსიკა, როგორც კონკრეტული დროისა და სივრცის პირმშო, და ამასთანავე, ყველანაირ საზღვრებს გარეთ არსებული კონცეფცია. თანამედროვე ტექნოლოგიების გავრცელების შემდეგ კი, ის ცალსახად "მეინსტრიმის" ნაწილი და საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური მოვლენების არეკვლის საშუალება გახდა. დღესდღეობით, მუსიკა, როგორც ხელოვნების მიმდინარეობა, პოპულარული კულტურის განუყოფელი ელემენტია და პირდაპირაა გადაჯაჭვული ყოველდღიურ ცხოვრებასთან (Davies & Franklin, 2015).

მუსიკისა და შიდასახელმწიფოებრივი პოლიტიკური მოვლენების ურთიერთკავშირი თითქმის ყველა ქვეყანაში, ყველა ისტორიულ პერიოდში აშკარა იყო - "ჰიპების" მოძრაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, პანკის კულტურა დიდ ბრიტანეთში, ჯაზი და ჰიპ-ჰოპი, როგორც შავკანიანთა თვითგამოხატვის ასპარეზი, "Pussy Riot" როგორც პოლიტიკური პროტესტის იარაღი რუსეთში თუ "თეთრი ხმაურის მოძრაობა" საქართველოში, რომელმაც ქვეყანაში დეკრიმინალიზაციის პროცესებზე მოახდინა გავლენა. მუსიკის ეს ჟანრები ყოველთვის წარმოადგენდა საყოველთაოდ გავრცელებული, დომინანტური დისკურსების წინააღმდეგობას და შესაბამისად, ნონკონფორმიზმისა და საზოგადოების მარგინალიზებული ნაწილის თვითგამოხატვის საშუალებას. ეს ყოველივე აშკარას ხდის, რომ მუსიკა, განსაკუთრებით კი მისი კონკრეტული ჟანრები, პოლიტიკური პროცესების გაანალიზების მეტად საინტერესო ხელსაწყოა.

პოლიტიკის და მუსიკის ურთიერთობა საუკუნეებს ითვლის. შეგვიძლია ვთქვათ, რომ, ამ დროის განმავლობაში, ისინი მუდმივად ექცეოდნენ ერთი-მეორის გავლენის ქვეშ. საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ბევრ არტისტის ინსპირაციის წყარო გამხდარა - მათ შორის, ისეთი კლასიკოსებისაც, როგორებიც არიან ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი და ჯუზეპე ვერდი, რომლებიც საფრანგეთის რევოლუციისა და იტალიის გაერთიანების მსგავს ფუნდამენტურ პოლიტიკურ მოვლენებს ეხმიანებოდნენ. მოგვიანებით, ეს ადგილი ალტერნატიული მუსიკის, ფსიქოდელიისა და პანკ როკის ჟანრებმა დაიკავეს. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან, სოციუმში არსებულ პრობლემებზე გამოხმაურების მთავარი ასპარეზი ჰიპ-ჰოპ კულტურამ და რეპის მუსიკალურმა ჟანრმა "გადაიბარა". მისი საწყისები ამერიკის შეერთებულ შტატებშია, სადაც რეპი სოციალურ უთანასწორობის გამოწვევებზე, განსაკუთრებით აფრიკულ-ამერიკული საზოგადოების პრობლემებზე საუბრის უმთავრესი გზა გახდა.

მუსიკას სოციალურ პრობლემებზე საუბრისთვის ქართველი არტისტებიც ხშირად იყენებდნენ. 80-იან და 90-იან წლებში, ეს ქართული ალტერნატიული მუსიკის გაჩენაში გამოიხატა. 21-ე საუკუნეში კი ეს ადგილი ქართული რეპის ჟანრმა დაიკავა. დღესდღეობით, ქართველი ჰიპ-ჰოპ არტისტების

ნამუშევრები საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებას სხვადასხვა კუთხით ირეკლავენ. ქვეყანაში არსებული პოლიტიკური პოლარიზაციისა და მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გათვალისწინებით, განსაკუთრებით საინტერესოა, თუ როგორ გამოხმაურებას პოვებს ეს თემები ქართულ პოპულარულ მუსიკაში. ვინაიდან, ჰიპ-ჰოპ კულტურა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ტემპერატურისადმი ყველაზე მგრძნობიარეა, ხოლო ბოლო წლებში, ქართულ მუსიკალურ ინდუსტრიაში განსაკუთრებით გაიზარდა რეპის პოპულარობა, გადავწყვიტეთ, სწორედ ამ ჟანრში მოღვაწე არტისტების ნამუშევრები შეგვესწავლა.

კვლევის აქტუალობას განაპირობებს ფაქტიც, რომ ბოლო წლებში ქართულ რეპ მუსიკას ფართო აუდიტორია და განსაკუთრებით ბევრი მსმენელი გამოუჩნდა. ამან კი შემსრულებლებს საშუალება მისცა, თავიანთი პოლიტიკური შეხედულებები უფრო მეტი ადამიანისთვის გაეზიარებინათ. კვლევის მიზანია, შევისწავლოთ, თუ როგორ აისახება ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური პრობლემები ქართულ პოპულარულ მუსიკის ჟანრში, რეპში და შევუსაბამოთ რეპ-შემსრულებლების მიერ გავრცელებული გზავნილები განსხვავებულ პოლიტიკურ ღირებულებათა სკოლებს. შესაბამისად, საკვლევი კითხვა შემდეგნაირად ფორმულირდება - როგორ აისახება განსხვავებული პოლიტიკური ღირებულებები ქართველი რეპ შემსრულებლების შემოქმედებაში?

კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ პოპულარული ქართველი რეპერები სიმღერებში აჟღერებენ როგორც მკვეთრად მემარცხენე, ისე მემარჯვენე და კონსერვატიული პოლიტიკური ღირებულებებისთვის დამახასიათებელ გზავნილებს. ნაშრომში ვიყენებთ პოლიტიკური ღირებულებების განსაზღვრებას, რომლის მიხედვითაც ეს არის შეფასების/დაჯგუფების კრიტერიუმი, რომელზე დაყრდნობითაც, ინდივიდი, ჯგუფი ან საზოგადოება იღებს ან უარყოფს გარკვეულ იდეებს, კონცეფციებს და მიზნებს; პოლიტიკური ღირებულებები გავლენას ახდენენ პოლიტიკურ ქცევაზე. ღირებულებების სისტემა შეიძლება იყოს თანმიმდევრული, სპეციფიკური, შეფარული ან აშკარა. პოლიტიკური ღირებულებების სისტემამ შეიძლება მიიღოს იდეოლოგიის სახეც, რაშიც იგულისხმება გარკვეული პოლიტიკების, მიზნების, წესების, იდეალებისა და მორალური ნორმების ერთობლიობა (Sleat, 2016).

მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები - უფრო კონკრეტულად, თვისებრივი კონტენტ-ანალიზი, რომელიც შერჩეული სიმღერების ტექსტების შინაარსობრივი გაანალიზების საშუალებას გვაძლევს. კვლევის პროცესში დავეყრდენით "Youtube" პლატფორმას და შემსრულებლების პოპულარობის ინდიკატორად ე.წ "ნახვების" რაოდენობა გამოვიყენეთ. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, გამოვარჩიეთ სამი რეპერი, რომელიც გამოირჩევა პოლიტიკური შეხედულებებით დატვირთული დისკოგრაფიით და დამახასიათებელი იდეოლოგით; შევარჩიეთ ამ შემსრულებლების ყველაზე პოპულარული და ამავდროულად, სოციალურ-პოლიტიკური გზავნილებით დატვირთული სიმღერები და გავაანალიზეთ მათი ტექსტები.

ვინაიდან, ეს კონკრეტული საკითხი თეორიულ ჭრილში ნაკლებად შესწავლილია, ნაშრომში ჰიპ-კულტურისა და პოლიტიკის დამაკავშირებელ, ზოგად თეორიას გამოვიყენებთ და ვეცდებით ის უშუალოდ ჩვენ შესასწავლ საგანს მოვარგოთ. დანიელ ნექსონისა და ივერ ნაუმანის ავტორობით შექმნილი წიგნი: "ჰარი პოტერი და საერთაშორისო ურთიერთობები" ამ კუთხით მეტად

საინტერესო მასალას გვთავაზობს. ავტორები გამოყოფენ პოპ-კულტურისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართების 4 ძირითად კატეგორიას - პოპულარული კულტურა და პოლიტიკა; პოპულარული კულტურა, როგორც სარკე; პოპულარული კულტურა, როგორც მონაცემი; და პოპულარული კულტურა, როგორც განმსაზღვრელი. ამ ოთხი კატეგორიიდან ჩვენ გამოვარჩევთ ერთს - პოპულარული კულტურა, როგორც მონაცემი. ეს წარმოადგენს "ნორმების, შეხედულებების, იდენტობების მტკიცებულებას და პოპ-კულტურას უყურებს, როგორც საზოგადოებაში გავრცელებული დომინანტური ღირებულებების ინდიკატორს". ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ხშირად, პოპ-კულტურა უფრო ზუსტად წარმოაჩენს საზოგადოების განწყობებს, ვიდრე ელიტების დისკურსი - ქვეყნის იდენტობის შესასწავლად პოპ-კულტურა ერთ-ერთი ყველაზე გამოსადეგი ხელსაწყოა. (Nexon & Neumann, 2006). სწორედ ამ მიდგომის გამოყენებით, ნაშრომში განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ რეპ-შემსრულებლების პოპულარობასა და მსმენელის სიმპათიებს მათ მიმართ, რაც, ძირითადად, Youtube პლატფორმაზე "ნახვების" რაოდენობაში გამოიხატება; მიგვაჩნია, რომ კონკრეტული იდეოლოგიური ღირებულებების მქონე არტისტების მხარდაჭერის დონე კარგად ასახავს თავად ამ იდეოლოგიის პოპულარობას ქართულ საზოგადოებაში.

ვინაიდან, ნაშრომის შესწავლის საგანი შიდასახელმწიფოებრივი უფროა, ვიდრე საერთაშორისო პოლიტიკური, ამასთან ჩვენ მხოლოდ პოპულარული კულტურის ერთ მიმდინარეობას - ჰიპ-ჰოპ მუსიკის ჟანრს შევისწავლით, ხსენებული თეორია კვლევაში ერთი-ორად დავიწროებულია. ამის მიუხედავად, ვფიქრობთ, პოპ-კულტურის (ამ შემთხვევაში ჰიპ-ჰოპის ჟანრის), როგორც საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების არეკვლისა და ქვეყანაში გავრცელებული ღირებულებების გამოხატვის როლი ყველაზე უკეთ ერგება ჩვენ მიერ განხილულ საკითხს.

ლიტერატურის მიმოხილვა

დასაწყისშივე უნდა ითქვას, რომ დიდი მცდელობის მიუხედავად, ქართულენოვან აკადემიურ სივრცეში ვერ მოიძებნა ნაშრომი, რომელიც ქართველი რეპერების შემოქმედებაში პოლიტიკურ ღირებულებებს იკვლევს. გარდა აკადემიური სივრცისა, მსგავსი შინაარსის პუბლიკაციას ვერ შეხვდებით ვერც პოპულარულ ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა და ბლოგებში. ეს კი აღნიშნული მიმართულებით კვლევის ჩატარების მნიშვნელობას და აუცილებლობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

ამის საპირისპიროდ, პოლიტიკური ღირებულებებისა და რეპის ურთიერთკავშირის შესახებ მრავალფეროვანი ლიტერატურა მოიპოვება ინგლისურენოვან აკადემიურ სივრცეში. იქიდან გამომდინარე რომ რეპი აშშ-ის პოპ-კულტურის პირმშოა, ლოგიკურია, ყველაზე სიღრმისეული და ცნობილი კვლევები სწორედ ამერიკული რეპ კულტურის შესახებ არსებობს. ამ მხრივ, საინტერესოა ამერიკელი მკვლევრის, ნატალი უილსონის მიერ გამოქვეყნებული სტატია, სადაც ის მიმოიხილავს ამერიკელი რეპ შემსრულებლების ტექსტებს და აანალიზებს მათ მიერ, მუსიკის საშუალებით, გამოხატულ პოლიტიკურ იდეებს. უილსონი ყურადღებას ამახვილებს ფაქტზე, რომ რეპერები თავიანთ პლატფორმას ისეთ მნიშვნელოვან თემებზე სასაუბროდ იყენებენ, როგორებიცაა: რასობრივი დისკრიმინაცია, პოლიციის მხრიდან შავკანიანთა წინააღმდეგ გამოჩენილი განსაკუთრებული სისასტიკე, სოციალური უთანასწორობის მაღალი დონე, სექსიზმი და სხვ.

ავტორი უფრო შორსაც მიდის და ყურადღებას ამახვილებს იმ პოზიტიურ როლზე, რომელსაც რეპ მუსიკა შავკანიანი ახალგაზრდების ცხოვრებაში ასრულებს. მისი მტკიცებით, რეპ მუსიკას აქვს უნარი, ერთი მხრივ, აირეკლოს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები, ხოლო მეორე მხრივ, გავლენა მოახდინოს საზოგადოების მარგინალიზებული ჯგუფების ცნობიერებაზე და უზრუნველყოს მათი რეპრეზენტაციულობა (Wilson, 2018).

ამერიკელი ავტორები რეპისა და მემარცხენე პოლიტიკური ღირებულებების ურთიერთკავშირის შესახებ უფრო საუბრობენ. რაც შეეხება მემარჯვენე პოლიტიკური ღირებულებებისა და რეპის ურთიერთობას, ამ თემაზე ყურადღებას უფრო მეტად, ევროპული აკადემია ამახვილებს. ბევრ ევროპულ სახელმწიფოში პოლიტიკური რეპის სწორედ ეს მიმდინარეობა სარგებლობს განსაკუთრებული პოპულარობით.

ჩეხეთში, ანა ორავკოვმა და იან ჩარვატიმ, რადიკალური მემარჯვენე ღირებულების მხარდამჭერ რეპერთა შემოქმედებაზე ჩაატარეს კვლევა. მათი ნაშრომი ფოკუსირდება რეპ მუსიკის როლზე რასისტული და ნაციონალისტური პროპაგანდის გაღვივებისა და ულტრამემარჯვენეობის მხარდაჭერის პროცესში. ავტორებმა გააანალიზეს ორი ჩეხური რეპ ჯგუფის ტექსტები და მივიდნენ დასკვნამდე, რომ რეალურად, მათი შემოქმედება მართლაც უწყობდა ხელს რადიკალური მემარჯვენე იდეების გავრცელებას. ორივე ჯგუფისთვის დამახასიათებელი იყო ჩეხური ნაციონალისტური იდეების გავრცელება და ნეო-ფაშისტური დამოკიდებულებების პოპულარიზაცია. თუმცა, საზოგადოების რეაქციისა და ამ ჯგუფების მხარდამჭერთა რაოდენობაზე დაკვირვებით, ავტორებმა დაასკვნეს, რომ ჩეხურ რეპ მიმდინარეობაში მემარჯვენე რადიკალურმა ღირებულებებმა სათანადო პოპულარობა ვერ მოიპოვა. (Oravcová & Charvát, 2018)

ჩეხეთისგან განსხვავებით, მემარჯვენე პოლიტიკური ღირებულებებისა და რეპის "თანამშრომლობა" წარმატებული გამოდგა პოლონეთში. უფრო მეტიც, აქ განსაკუთრებით დიდი პოპულარობა მოიპოვა "პატრიოტული რეპის" სახელით ცნობილმა რეპ მუსიკის ქვე-ჟანრმა. სწორედ ამ მოვლენის შესახებ წერს პიოტრ მაჟევსკი და დეტალურად აღწერს პოლონური "პატრიოტული რეპის" მიერ განვლილ გზას. ის განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ფაქტზე, თუ როგორ იქცა, ერთ დროს, ამერიკულ გეტოებში მცხოვრებ შავკანიან რეპერთა სიმღერის სტილი, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოში ნაციონალისტური იდეების გავრცელების პლატფორმად. ავტორის მტკიცებით, პოლონელი „პატრიოტი" რეპ შემსრულებლების მიზანი არ არის ჩაგრულთა ინტერესების დაცვა; პირიქით, "პატრიოტული რეპი" აძლიერებს ნაციონალისტურ მენტალიტეტზე დაფუძნებულ მსოფლმხედველობას და ეთნიკური თუ რასობრივი ნიშნით ადამიანების დისკრედიტაციას ეწევა. მაჟევსკი მთავარ მიგნებას გამოყოფს: მუსიკა, რომელსაც "პატრიოტი რეპერები" ქმნიან, პოლონეთის ისტორიაში პირველი მკაცრად პოლიტიკური ჟანრია და ის წარმოიშვა არა ძალაუფლების სტრუქტურის საწინააღმდეგოდ (როგორც ეს მოხდა ამერიკული რეპის შემთხვევაში), არამედ სახელმწიფოს და მისი ინსტიტუტების, მემარჯვენე ღირებულებებზე დაფუძნებული საჯარო და კერძო მედიის დიდი მხარდაჭერით. (Majewski,2018)

ზემოთ განხილულ ნაშრომთა მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამერიკელი მკვლევრები ძირითადად კონცენტრირდებიან პოლიტიკური რეპის იმ მიმდინარეობაზე, რომელიც ჩაგრულთა ხმის როლს ასრულებს და მძიმე სოციალური თუ ეკონომიკური ფონის კრიტიკის შედეგად, მემარცხენე პოლიტიკური ღირებულებების პლატფორმად გვევლინება. ეს არცაა გასაკვირი,

რადგანაც ამერიკული რეპი უკვე ათწლეულებია, ძირითადად სწორედ ამ მიმართულებით ვითარდება. (Quan, 2021) შესაბამისად, აკადემიური კვლევის მიღმა რჩება პოლიტიკური რეპის ის მიმდინარეობა, რომლის ტექსტებიც მემარჯვენე და ხშირად რადიკალური ღირებულებითა თუ ნაციონალისტური სენტიმენტებითაა დატვირთული. ამ საკითხებზე საუბრობენ ევროპელი მკვლევრები, რომლებიც რეპისა და მემარჯვენე პოლიტიკური ღირებულებების ურთიერთკავშირზე აკეთებენ აქცენტს. თუმცა, ეს სტატიები გარკვეულწილად შეზღუდულია და არ იძლევა მთლიანი სურათის დანახვის საშუალებას, რადგანაც ავტორები ვერ ახერხებენ ერთდროულად მემარცხენე და მემარჯვენე პოლიტიკური ღირებულებების სრულყოფილად დაფარვას. ჩვენს ნაშრომში, ვეცდებით, ერთი მხრივ, ამოვავსოთ ქართულ აკადემიურ სივრცეში ამ კუთხით არსებული სიცარიელე და ამასთან, განვიხილოთ ორივე მიმართულების პოლიტიკური ღირებულებების მქონე არტისტების ნამუშევრები.

ძირითადი ნაწილი

"მასტერი"

"მასტერის" სახელით ცნობილი ქართველი რეპერი - გიორგი პავლიაშვილი - მუსიკალურ ასპარეზზე 2004 წლიდან გამოვიდა. იქამდე, ის სწავლობდა თბილისისა და არკანზასის სკოლებში, ხოლო უმაღლესი განათლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იურიდიული განხრით მიიღო.

"მასტერის" რეპ-შემოქმედება საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამას მოწმობს Youtube პლატფორმა: (ნაშრომში ამ პლატფორმას ვიყენებთ, როგორც მუსიკალური შემსრულებლების მსმენელებთან ინტერაქციის მთავარ საშუალებას) გიორგი პავლიაშვილის Youtube არხი სახელწოდებით "Masteri" 2011 წლიდან არსებობს. მუსიკოსს 252 ატვირთული ვიდეო და 116 ათასი მიმდევარი ჰყავს. ვიდეოების „ნახვების" საერთო რაოდენობა 100 მილიონს აღწევს (96,699,483).

"მასტერის" შემოქმედება გამოირჩევა რამდენიმე ძირითადი მიმართულებით - მისი ყველაზე პოპულარული სიმღერები სასიყვარულო/ქალაქურ თემატიკაზეა და მსგავსი სიმღერების „ნახვების" რაოდენობა 2-3 და ზოგ შემთხვევაში, 10 მილიონსაც აღწევს. თუმცა, ჯერ კიდევ 2014 წლიდან, რეპერის დისკოგრაფიაში ვხვდებით სხვადასხვა სოციალური თემატიკის შემცველ ნამუშევრებსაც. ისინი, მეტ-ნაკლებად ერთ კონტექსტში გადმოსცემენ რეპერის ღირებულებებს, ხოლო სიმღერებში გადმოცემული გზავნილები დროთა განმავლობაში იგივე რჩება - აქედან გამომდინარე, მივიჩნევთ, რომ შესაძლებელია ამ რეპ-შემსრულებლის შემოქმედება რომელიმე პოლიტიკურ ღირებულებათა სისტემას შევუსაბამოთ, რის დასაბუთებასაც მისი სიმღერების შინაარსის გაანალიზებისას შევხვდებით.

მასტერის შემოქმედებაში მისი პოლიტიკური შეხედულებები მკაფიოდ ჩანს ნამუშევრებში: *"მამაკაცს არასდროს ერქმევა ცოლი" (ოფიციალური ვიდეო Youtube პლატფორმიდან წაშლილია), "ANTI" (390,236 ნახვა), "მეუბნებიან" (837,253 ნახვა), "პატარა ბიჭი" (2,077,761 ნახვა), "პროტესტი" (179,062 ნახვა)* და *"დეიდა ნატო" 103,412 ნახვა).* მათგან, გამოვარჩიეთ განსაკუთრებით მკაფიო პოლიტიკური გზავნილები და დავყავით ისინი რამდენიმე ძირითად კატეგორიად:

1. **ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ტრადიციული ღირებულებისა და შეხედულებების მხარდაჭერა;**

- "მეუბნებიან რომ ყველა ტრადიცია დავწვა და ჩემი ხუთჯვრიანი დროშა ნაკუწებად დავჭრა". ("*Meubnebian", 2015*);
- "მეუბნებიან რომ ვიცავდე ამერიკულ სტილს, არ ვუსმენდე ჰამლეტ გონაშვილს" ("*Meubnebian", 2015*);
- "გლობალიზაციის ცივ კანონებს ვებრძვი [...] ჩემ ქვეყანასაც მოადგნენ და ყველა ძირს უთხრის მას რომ შეუცვალონ სახე" *("პროტესტი / Protesti", 2022).*

2. **საეკლესიო ღირებულებების აქტიური მხარდაჭერა;**

- "მეუბნებიან, რომ გამეცინოს ანეკდოტზე, რომელიც ეხება წმინდა ნინოს", ("*Meubnebian", 2015*);
- "მეუბნებიან არ მოვუსმინო პატრიარქს, და ვშიშობ ეს ყველაფერი ჩვენ არ მოგვიტანს კარგს" ("*Meubnebian", 2015*).

3. **მკვეთრად გამოხატული ანტი-ლიბერალური შეხედულებები;**

- "ნეო ლიბერალები ქმნიან შვედურ ფილიალს, აი დრო მოვა გაამართლებენ პედოფილიას " *("პროტესტი / Protesti", 2022);*
- "იბერია კახთა და რანთა „ენ-ჯე-ო-შნიკებმა" ამოიდეს ჩანთად" *("პროტესტი / Protesti", 2022);*
- "სახალხო დამცველს არ ვენდობი - ის ყოველთვის მხარეა! ჯალათების მხარეა, ქვეყანას რომ აყენებს ზიანს" *("პროტესტი / Protesti", 2022).*

4. **განსაკუთრებული აქცენტი LGBT თემის საკითხზე;**

- "არ მინდა ტრანსგენდერი პედაგოგი შვილის კლასში !" *("Anti", 2019);*
- "მამაკაცს არასდროს ერქმევა ცოლი" *("მამაკაცს არასდროს ერქმევა ცოლი", 2018)*
- "... კაცი, კაცს გავდეს, ქალი ქალს გავდეს, სისტემა აღარავის არ ჩაგრავდეს" *("Patara Bichi / პატარა ბიჭი", 2020).*
- "ვინ ვისთან წვება მე რა ხელი ? ან რა აგრესია ? ამას რომ აფიშირებთ მაგას ვამბობ - რა წესია?" *("Anti", 2019).*

5. **ანტივაქსერული მოწოდებები;**

- "ვისაც უნდა აიცრას და ვისაც უნდა არა [...] ჩემი პროტესტია უარი მწვანე პასპორტებს!" *("პროტესტი / Protesti", 2022);*

6. **ანტიდასავლური რიტორიკა საგარეო პოლიტიკაში;**

- "ვაპროტესტებ, საოკუპაციო ხაზს! რუსეთის და თურქეთის დამპყრობელ პოლიტიკას!" *("პროტესტი / Protesti", 2022);*
- "მყავს მტერი მივადექი ძმას და არ მიღებს კარს, მე კი ავღანეთში ვგზავნი ისევ ჩემ ჯარისკაცს" *("პროტესტი / Protesti", 2022);*
- "25 წელი ველოდებით დეიდა ნატოს მარა არ გვიფიქრია რომ დეიდა ნატომ გზაში ჩამოგვყარა" *("Miss NATO", 2022).*

ზემოთ განხილული მუსიკალური ნაშრომების კონტენტ-ანალიზისას იკვეთება, რომ, "მასტერის" შემოქმედება გამოირჩევა საზოგადოებაში ტრადიციულად დამკვიდრებული შეხედულებების, ასევე საეკლესიო ღირებულებების აქტიური მხარდაჭერით; მკვეთრად გამოხატული ანტი-ლიბერალური

განწყობებით, LGBT თემის საკითხებზე ხშირი აქცენტირებით; ანტივაქსერული მოწოდებებითა და საგარეო პოლიტიკური კუთხით - ანტიდასავლური რიტორიკით. ამაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მუსიკოსის შემოქმედებაში იკვეთება კონსერვატიული, მემარჯვენე რადიკალური პოლიტიკურ ღირებულებათა სისტემის დამახასიათებელი ნიშნები. Youtube პლატფორმაზე დაყრდნობით, "მასტერი", ჩვენ მიერ შერჩეულ მუსიკოსთაგან, ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს; ხოლო ამ მუსიკალურ კლიპებზე მის მსმენელს მეტად პოზიტიური გამოხმაურება აქვს. შესაბამისად, ნექსონისა და ნაუმანის თეორიის მიხედვით - "პოპულარული კულტურა, როგორც მონაცემი" - შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ "მასტერის" შემოქმედება სწორედ ქართული საზოგადოების იმ კონსერვატიულ ნაწილს წარმოადგენს, რომელსაც მკვეთრად გამოხატული საეკლესიო, ტრადიციული ღირებულებები და ანტი-LGBT განწყობები ახასიათებს. ამ მუსიკალური კლიპებით გავრცელებული გზავნილები წარმოადგენს პოლიტიკური ელიტების დისკურსიდან გადახვევას, რომელიც მკვეთრად პრო-დასავლური და ლიბერალური ღირებულებების მატარებელია; ამის კარგი მაგალითია ჩვენ მიერ ხშირად ციტირებული სიმღერა - *"პროტესტი / Protesti"*, რომლის მუსიკალურ ვიდეოშიც რეპ-შემსრულებელი აშკარად ცდილობს გამოხატოს, რომ მისი მოსაზრებები პოლიტიკურ ელიტაში გავრცელებული ნარატივის საწინააღმდეგოა, რის დასტურადაც ის სიმბოლურად, ელექტროსკამზე მჯდომი მღერის ტექსტს.

აქ მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ მემარჯვენე რადიკალიზმი და მემარჯვენე ექსტრემიზმი. ექსტრემიზმის ცენტრის მკვლევრების, იუპსკასისა და სეგერსის განმარტებით, მემარჯვენე რადიკალიზმი დემოკრატიულია, მაგრამ ამავე დროს, ეწინააღმდეგება ლიბერალურ იდეოლოგიას; ხოლო ექსტრემიზმი ჩანასახშივე ანტი-დემოკრატიულია, რადგანაც მემარჯვენე რადიკალიზმი უნდობლობას უცხადებს დემოკრატიის ისეთ ლიბერალურ ასპექტებს, როგორიცაა უმცირესობათა უფლებები. თუმცა, ექსტრემიზმისგან განსხვავებით, არ მოუწოდებს საზოგადოებას ძალადობრივი ქმედებებისკენ (Jupskås & Segers,2020). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასტერის შემოქმედებაში გამოხატული პოლიტიკური ღირებულებები მემარჯვენე რადიკალიზმის გამოვლინებაა. მისი განსაკუთრებული ერთგულება ტრადიციული შეხედულებების მიმართ, ჰომოფობიური ტექსტები და მკვეთრად გამოხატული ანტი-ლიბერალური გზავნილები მასტერს მემარჯვენე რადიკალად წარმოგვიჩენს, რომელიც ამავე დროს, ექსტრემისტებისგან განსხვავებით, პირდაპირ არ მოუწოდებს მის მსმენელებს ძალადობისკენ - *"ვინ ვისთან წვება მე რა ხელი ? ან რა აგრესია ? ამას რომ აფიშირებთ მაგას ვამბობ - რა წესია ?" ("Anti", 2019).*

"Ras-Green"

კიდევ ერთი ქართველი რეპერი, რომლის შემოქმედებასაც მიმოვიხილავთ არის, დათო პაქსაშვილი, სასცენო სახელით - "Ras Green". ქართულ რეპ კულტურაში იგი ე.წ "მწვანე რეპერების" ჯგუფის დამფუძნებელი და აქტიური წევრია. ჩვენ მიერ განხილულ სხვა არტისტებთან შედარებით, "Ras-Green" ნაკლები პოპულარობით სარგებლობს. ეს ფაქტი, სავარაუდოდ, თავად მწვანეთა მიმდინარეობით ქართველი მსმენელის ნაკლები ინტერესით აიხსნება.

ყველაზე მკაფიოდ, "Ras-Green-ის" პოლიტიკური შეხედულებები გადმოცემულია სიმღერებში: *"მარადმწვანე" (180,288 ნახვა)* და *"არჩევანს ვერ დაგაძალებენ" (168,130 ნახვა)*; ამ სიმღერებში მისი გზავნილები ორ ჯგუფად გამოვყავით:

1. **მძიმე სოციალური ფონი და ერთგულება "მწვანე დროშისადმი":**

- "ბოლო ამოსუნთქვამდე მწვანე, და რაც არ უნდა მოხდეს მარადმწვანე" *("მარადმწვანე", 2016);*
- *"მე ვიცი ხმა მათი დამძიმებული სუნთქვის, გადაღლილი სახეებით ღამის 12 საათზე მეტროს ბოლო რეისით რომ ბრუნდებიან ლამის უხელფასო მონური სამსახურებიდან" ("მარადმწვანე", 2016);*
- *„ფსიქოლოგიური ზეწოლა მასობრივი გზებით, გვაიძულებს მონობას მივეგებოთ ბზებით" ("მარადმწვანე", 2016);*
- *"სისტემა გვართმევს დროს სულის მოთქმის, ლუკმა-პურის ძიებაში ძილში შფოთვის. კვალი ხალხის თვალებში დამალული მოთქმის" ("მარადმწვანე", 2016).*

2. **ბუნების მეტაფორები:**

- *"მე ვაშენებ ოაზისს უდაბნოში სანამ მწვანე დროშის მეომრები ერთად დგანან" ("არჩევანს ვერ დაგაძალებენ", 2016);*
- *"თუ ჭადარს შემოდგომის ფოთოლივით არ მოვწყდი" ("არჩევანს ვერ დაგაძალებენ", 2016).*

რეპერის სასცენო სახელწოდებიდან გამომდინარეც აშკარაა, რომ ის მწვანეთა პოლიტიკური მოძრაობის იდეების მხარდამჭერად გვევლინება. იმ საკითხებს, რაც მისი ნამუშევრების მთავარ თემას წარმოადგენს - სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლა და რა თქმა უნდა, ბუნების დაცვისადმი განსაკუთრებული აქცენტი - შვედეთის მწვანეთა პარტიის პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია (Green Party of Sweden, 2005). თუმცა, თუ გამოვიყენებთ "პოპულარული კულტურა, როგორც მონაცემის" მიდგომას და გავითვალისწინებთ სხვა შემსრულებლებთან შედარებით "Ras Green-ის" პოპულარობას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ "მწვანეთა მიმდინარეობისთვის" დამახასიათებელი, სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების ერთიანობა, ქართველი მსმენელისთვის ნაკლებ საინტერესოა.

EKO

ქართველ რეპ შემსრულებლებს შორის, პოლიტიკური გზავნილებით ყველაზე დატვირთული, ერეკლე დეისაძის, სასცენო მეტსახელით Eko-ს შემოქმედებაა. მწერალმა, მუსიკოსმა და რეჟისორმა 2010 წლიდან მოყოლებული რამდენიმე მუსიკალური ალბომი გამოსცა.

მისი ნამუშევრების კონტენტ ანალიზის შედეგად, ერეკლე დეისაძის ტექსტებში გაჟღერებული პოლიტიკური გზავნილები რამდენიმე კატეგორიად დაჯგუფდა. ამ შემთხვევაში, დავეყრდნობით სიმღერებს - *"კაპიტალი" (16,820 ნახვა), "ცეცხლი უკიდია ყველაფერს" (54,513 ნახვა), "სისტემა უნდა დაინგრეს" (726,280 ნახვა)* და *"ღარიბთა ლოცვა" (209,489 ნახვა).*

1. **სოციალური უთანასწორობის კრიტიკა:**

- "მეტროსთან ყიდდნენ ბავშვები ხატებს, ყველა მათგანი იყო მშიერი, გვერდით კი მაკდონლადსის წინ ჰამბურგერს ჭამდა პოლიციელი, ჰამერის ჯიპით მოქრის მამაო, აფხაზეთის ხმა გადმოცემს ამინდს, ნეტარ არიან ღარიბნი ქვეყნად, გაიფიქრებს და წარმოთქვამს ამინს" *("Garibta Locva", 2012).*

2. **კაპიტალიზმის კრიტიკა:**

- "კაპიტალიზმი ცოცავს და აფინანსებს ლოცვას, კონკურენციის სახელით ძლიერებით სუსტებს ხოცავს. დახეულ ჯიბეში სანამ მოიძიებ ხურდებს არსად ეჩქარება შენზე მეტი დროც აქვს" *("კაპიტალი / Kapitall", 2022).*

3. **მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი:**

- "ფიქრები ამინდზე და ცარიელ მაცივარზე, შიმშილზე გაკრულები ვართ, როგორც ღმერთი ჯვარზე…" *("ცეცხლი უკიდია ყველაფერს", 2021);*
- "სიღარიბე ახლა ყველა კართან ზის, ვიგრძენი რომ ფონი კიდევ უფრო დამძიმდა" *("კაპიტალი / Kapitall", 2022);*
- "ყოველ დილით ბანკიდან გირეკავენ, გემუქრებიან ქირით მომავალს გიჭამენ" *("კაპიტალი / Kapitall", 2022);*
- "…თავისუფლება კვდება სიღარიბეში" *("ცეცხლი უკიდია ყველაფერს", 2021);*
- "ქვეყანა გაღარიბდა, დაკარგა ძალა ყნოსვის, მას აღარ სჯერა ბოსის, არცერთი ბარბაროსის, აქედან მაღლა რომ ზის, სამების კალატოზის რომელმაც იცის გემო ახალი მეტამორფოზის" *("ცეცხლი უკიდია ყველაფერს", 2021).*

4. **სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობისადმი კრიტიკული დამოკიდებულება:**

- "დატოვე ქალაქი, თუ ღმერთის ნახვა გსურს, ღმერთს გარეუბნის ბომჟებთან იპოვი, რადგანაც ტაძრებში მაძღრები არიან, მაძღრები არიან იქ ჩინოვნიკებიც, ეცადე სულ ყველა ცეცხლში რომ გახვიო" *("სისტემა უნდა დაინგრეს (The System must be destroyed)", 2012);*
- დამნაშავე ხარ თუ ისევ გშია, აქ პურის ნაცვლად გაჭმევენ ლოცვას და პრეზიდენტის რეზიდენცია სამების ტაძარს უგზავნის კოცნას; *("Garibta Locva", 2012).*

5. **მუშათა კლასის მისამართით რევოლუციისკენ მოწოდებები:**

- "მე სიზმარში ვხედავ დამწვარ მანქანებს, აგურით ჩალეწილ ბანკებს და შუშებს, მე სიზმარში ვხედავ მკვდარ პოლიციელს, ძალაუფლება ასფალტის მუშებს" *("სისტემა უნდა დაინგრეს (The System must be destroyed)", 2012);*
- "ვინ გადაჭრის ამ მატარებლის ლიანდაგს ვინ შეამზადებს ცვლილებებისთვის ნიადაგს" *("კაპიტალი / Kapitall", 2022).*

ამ გზავნილებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერეკლე დეისაძე აშკარად გამოხატული მემარცხენე პოლიტიკური ღირებულებების მატარებელია. უფრო კონკრეტულად, ის წარმოადგენს მემარცხენე რადიკალური იდეების მხარდამჭერს, რადგან რევოლუციური სოციალიზმისთვის დამახასიათებელი მეთოდებით, ანუ როგორც ძალადობრივი, ისე არაძალადობრივი გზებით მოუწოდებს მუშათა კლასს ცვლილებებისკენ (ჰეივუდი, 2003). რეპერი ასევე აქტიურად აკრიტიკებს კაპიტალიზმსა და ქართულ საზოგადოებაში არსებულ სოციალურ უთანასწორობას; თვალშისაცემია რელიგიის, როგორც კაპიტალიზმის მიერ დაფინანსებული ინსტიტუტის კრიტიკა და სეკულარიზმის აუცილებლობაზე საუბარი.

ერეკლე დეისაძის შემოქმედების შემთხვევაში, რეპ მუსიკა ნამდვილად გვევლინება საზოგადოების მარგინალიზებული ჯგუფების რეპრეზენტაციად; ქართულ საზოგადოებასა და პოლიტიკურ ელიტაში, მემარცხენე პოლიტიკური ღირებულებები დომინანტური დისკურსის საწინააღმდეგოა. ხოლო ნექსონისა და ნაუმანის მიდგომის - "პოპულარული კულტურა, როგორც მონაცემის" -

გამოყენებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მსმენელში ეს იდეები საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს.

დასკვნა

ჩვენ მიერ განხილულ ქართველ რეპ შემსრულებლების შემოქმედებაზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულ რეპ-მიმდინარეობაში ვხვდებით როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე რადიკალური და შედარებით ზომიერი პოლიტიკური იდეების მატარებელ ტექსტებს. ეს იდეები განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მსმენელში. განხილულ რეპერებს აერთიანებთ საზოგადოებაში დამკვიდრებული და პოლიტიკური ელიტებისთვის დამახასიათებელი ლიბერალური დღის წესრიგის კრიტიკა; ამას მომღერლები აკეთებენ კონსერვატიზმის ან რადიკალური და ზომიერი მემარცხენე პოლიტიკური ღირებულებების მხარდაჭერით.

თუ გამოვიყენებთ ნექსონისა და ნაუმანის თეორიას, რომელიც პოპულარულ კულტურას განიხილავს, როგორც საზოგადოების გარკვეული ჯგუფების ღირებულებებისა და შეხედულებების წარმოჩენის გზად, ავხსნით, თუ რატომ აგროვებს ასობით ათას "ნახვას" ხსენებული რეპ-შემსრულებლების ვიდეო-კლიპები "Youtube" პლატფორმაზე. ამ შემთხვევაში, ქართული რეპი წარმოადგენს საზოგადოების შეხედულებების ერთგვარ "მონაცემს" რომელიც ასახავს სოციუმის გარკვეული ნაწილის უკმაყოფილებას პოლიტიკური ელიტის მიერ პოპულარიზებული დისკურსის გარშემო. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულ პოპულარულ კულტურაში სწორედ რეპ მუსიკაა ის ერთ-ერთი უმთავრესი პლატფორმა, რომლის საშუალებითაც არტისტებს შეუძლიათ ქვეყანაში არსებულ სოციალურ რეალობაზე ისაუბრონ და პოლიტიკურ ელიტებში გაბატონებული ღირებულებები გააკრიტიკონ.

გარდა ამისა, კვლევისას გამოიკვეთა რამდენიმე საინტერესო ტენდენციაც: მიუხედავად მათი პოპულარობისა, მსმენელი პოლიტიკური შინაარსის მუსიკასთან შედარებით, უპირატესობას აბსტრაქტულ სასიყვარულო ბალადებს ანიჭებს: კვლავ "Youtube" პლატფორმის „ნახვების" რაოდენობაზე დაყრდნობით, თვალშისაცემია ფაქტი, რომ მსმენელები რეპ-შემსრულებლების ქალაქურ/სასიყვარულო თემატიკის სიმღერებით უფრო ინტერესდებიან, ვიდრე პოლიტიკური შინაარსის ტექსტებით.

ბიბლიოგრაფია:

1. ჰეივუდი, ე. (2003) "პოლიტიკა". მესამე გამოცემა. საქართველოს მაცნე.
2. Charvát, J., & Oravcová, A. (2018). “Czech Rap Music and Right-Wing Attitudes. Central European Journal of Politics” Volume 4 (Issue 1,), 80–105. ბმული
3. Davies, M. & Franklin, M. (2015). "What Does (the Study of) World Politics Sound Like?". In *Popular Culture and World Politics: Theories, Methods, Pedagogies.* Edited by Federica Caso And Caitlin Hamilton. E-International Relations. Bristol, UK.
4. Green Party Of Sweden (2005). “The fourth party programme of the Green Party of Sweden”. ბმული ბოლო ნახვა: 19.07.2022
5. Jupskås, A. R., & Segers, I. B. (2020). “What is right-wing extremism?” *C-REX.* ბმული ბოლო ნახვა: 19.07.2022
6. Majewski, P. (2018). “African-American Music in the Service of White Nationalists: Polish.” *Open Edition Journals.* ბმული ბოლო ნახვა: 17.07.2022
7. Manhaimer, O. (2019). "Between Pepe and Beyoncé: The Role of Popular Culture in Political Research". ბმული
8. Nexon, D. H., & In Neumann, I. B. (2006). Harry Potter and international relations.
9. Quan, J. (2021). “Fight The Power: The Politics Of Hip-Hop”. *uDiscoverMusic.* ბმული ბოლო ნახვა: 17.07.2022
10. Role of Values in Political Science: Study of Values, Political Science Website, (n.d.). ბოლო ნახვა: 16.07.2022 ბმული
11. Sleat, M. (2016) What is a Political Value? Political Philosophy and Fidelity to Reality. Social Philosophy and Policy, 33 (1-2). pp. 252-272. ISSN 0265-0525 ბმული ბოლო ნახვა: 17.07.2022
12. Weldes, J. & Rowley C. (2015). "So, How Does Popular Culture Relate to World Politics?". In *Popular Culture and World Politics: Theories, Methods, Pedagogies.* Edited by Federica Caso And Caitlin Hamilton. E-International Relations. Bristol, UK.
13. Wilson, N. (2018). “Rap Music as a Positive Influence on Black Youth and American Politics”. *Scholar Commons.* ბმული ბოლო ნახვა: 17.07.2022